20410484

კონფიდენციალური
I კატეგორია
ეგზ. 1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

30. 10. 2025 №957-1

თბილისი

სს „ქაფითალ ქრაფთ"-ისთვის (ს/ნ: 405634764)
ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 52[4] მუხლის „ზ" ქვეპუნქტის, „საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 8 ივლისის №166/04 ბრძანებით დამტკიცებული „აქტივების მმართველი კომპანიისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. სს „ქაფითალ ქრაფთ"-ს, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენლობის გამო, დაეკისროს ფულადი ჯარიმა 2,000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
2. აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე - TRESGE22, შემდეგი სახაზინო კოდით 302003260.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ამ განკარგულების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა განხორციელდეს სს „ქაფითალ ქრაფთ"-ისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული ერთთვიანი ვადის განმავლობაში სს „ქაფითალ ქრაფთ" ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და გადახდიდან 2 სამუშაო დღის

ვადაში მატერიალური ან ელექტრონული სახით შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1; ელ. ფოსტა: capitalmarket.fines@nbg.gov.ge). მატერიალურ ან ელექტრონულ შეტყობინებას თან უნდა ახლდეს საგადახდო დავალების ასლი. გადახდის დამადასტურებელი შეტყობინების მატერიალური ან ელექტრონული ფორმით საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაკისრებული ფულადი ჯარიმა არ ჩაითვლება გადახდილად და განხორციელდება მისი იძულებით აღსასრულებლად მიქცევა. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა